

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ - პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე და 36-ე მუხლის თანახმად, აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით, პროფესორთა ღია კონკურსით შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:

აკადემიური თანამდებობის დაკავება მოხდება ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

დრამისა და კინო - ტელე ფაკულტეტებისათვის

1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელიც აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 12 წლის განმავლობაში უძღვებოდა პროფილურ სასწავლო კურსს ან მოდულს.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემოქმედებით-პედაგოგიური მუშაობის 8 წლის უწყვეტი სტაჟი. უნივერსიტეტის წესდების 30-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ასოცირებული პროფესორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელსაც არ აქვს დოქტორის ხარისხი, მაგრამ მისი კვალიფიკაცია დასტურდება პედაგოგიური გამოცდილებით ჯგუფის ხელმძღვანელის რანგში (10 წლიანი უწყვეტი პედაგოგიური გამოცდილება).

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შემოქმედებით-პედაგოგიური მუშაობის 4 წლის უწყვეტი სტაჟი.

4. ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტი შეიძლება იყოს მაგისტრანტი.

ძირითადი მოთხოვნები:

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე
2. საკონკურსო განაცხადი (ანკეტა)
3. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი
4. სამეცნიერო ხარისხის/ წოდების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
5. CV

6. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
7. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა დისციპლინის სრული სილაბუსის წარდგენა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო დონეზე. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად დისციპლინის სწავლების სტრუქტურის აღწერა სილაბუსი საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა საბაკალავრო დონეზე დისციპლინის სრული სილაბუსის და მიმართულების პროფესორის რეკომენდაციის წარდგენა. ასეთი თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში რეკომენდაცია უნდა გასცეს ფაკულტეტის საბჭომ.
8. აქტივობის (შემოქმედებითი, სამეცნიერო-პედაგოგიური და ა.შ.) დამადასტურებელი მასალა. შემოქმედებითი ნამუშევრის ელექტრონული ვერსია, აფიშა ან პროგრამა, რაც დაადასტურებს კონკურსანტის ავტორობას, თანაავტორობას ან ასისტენტობას (დოკუმენტად შეიძლება იქნეს მიღებული შესაბამისი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ გაცემული ოფიციალური ცნობაც).
9. ერთი ფოტოსურათი (3 X 4)

დამატებითი მოთხოვნები:

1. პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული პრემია, გრანტი, სტიპენდია, ფესტივალებში მონაწილეობა (დადასტურებული ასლებით);
2. გამოცემული პროფილური წიგნები და სახელმძღვანელოები; გამოქვეყნებული პროფილური შრომები; სტატიები და რეცენზიები (მითითებული უნდა იყოს გამომცემლობა და გამოცემის თარიღი).
3. საქართველოს ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით.

საკონკურსო კომისიის წევრს რექტორი დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ორიმესამედი.

საკონკურსო კომისია შედეგებს ადგენს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით
– ღია კენჭისყრით.

საკონკურსო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს საკონკურსო პირობების ძირითადი და დამატებითი მოთხოვნებით.

საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას აფასებს ქულობრივი სისტემით, „ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების“ თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და ქულათა ჯამით გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს.

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სტუდენტთა ანკეტური, ანონიმური გამოკითხვის შედეგად მიღებული მაღალი რეიტინგის მქონე კანდიდატს.

საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტის არჩევის შესახებ.

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე. საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგი კონკურსანტს ეცნობება სამი სამუშაო დღის ვადაში;

კონკურსანტის სააპელაციო განაცხადის შეტანის ბოლო ვადა განისაზღვრება, შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშაო დღით;

სააპელაციო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. სააპელაციო კომისია ათი დღის ვადაში წარუდგენს აკადემიურ საბჭოს სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგს. თუ საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შედეგები განსხვავდება ერთმანეთისაგან, აკადემიური საბჭო თავად ლებულობს გადაწყვეტილებას აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

სააპელაციო კომისია განისაზღვრება 3 წევრით.

სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

სააპელაციო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას ამტკიცებს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით - ღია კენჭისყრით.

კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. #6.

კონკურსში მონაწილეთ შეზღუდვა:

კანდიდატი, რომელსაც უკავია აკადემიური თანამდებობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პროფესორის თანამდებობაზე გასვლის შემთხვევაში, კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, ვალდებულია არსებული სამსახურიდან გათავისუფლდეს; ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავებისას, პირს, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის უფლება აქვს, მხოლოდ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობით.